



ხანსახოციანი

ხანსახოცის დროს

ხანსახოცის შედეგად



With funding from  
 Austrian  
Development  
Cooperation



ĀENN

# ლიპიდური და ნივთიერების ცვლილება

ლიპიდური არის მკვრივი ყინულის ფენა, რომელიც წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზე, ტროტუარზე, გზის სავალ ნაწილსა და საგნებზე (ხეებზე, სადენებზე და ა.შ.) წვიმის წვეთების, სველი თოვლის და/ან ნისლის გაყინვის შედეგად.

## ქაბასტროფა

- მოამზადეთ ნაკლებად სრიალა ფეხსაცმელი, დაამაგრეთ ქუსლებზე ჰოროლონი, ფეხსაცმლის მშრალ ძირებზე დააქარით ლეიკოპლასტიკი ან საიზოლაციო ტენტი. შეგიძლიათ აგრეთვე დაამუშაოთ ძირები ზემოთაღების ქაბასტროფით, ეგრეთ წოდებული „შეუჩქით“.

- ჰოროლონი – ხელოვნური ბოჭკო ერთგვარი, ამ ბოჭკოს ქსოვილი, რომელსაც იყენებენ რბილ ავეჯზე გადასაყრავად და სხვ.



## იაბასტროფის დროს

- იარეთ ფრთხილად, აუჩქარებლად, ფეხსაცმლის მთელ ძირზე ფეხის დადგმით. ამასთანავე, ფეხები ოდნავ მოდუნებული, ხელები კი თავისუფალი უნდა გქონდეთ.
- ხანდაზმული ადამიანებისთვის რეკომენდებულია რეზინისბუნიკიანი ხელჯოხით ან სპეციალური წვეტიანი ჯოხით სიარული.
- თუ ფეხი დაგიცურდათ, ჩაიმუხლეთ, რათა შემცირდეს დაცემის სიმაღლე.
- ლიჰყინულიანობას ხშირად თან სდევს მოყინვა. ყურადღება მიაქციეთ ელექტროგადამცემ ხაზებს და ელექტროტრანსპორტის საკონტაქტო ქსელების სადენებს: არსებობს მათი განყვეტის საშიშროება. თუ თქვენ შეამჩნევთ დანყვეტილ სადენებს, შეატყობინეთ ამის შესახებ დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას.
- ტრავმის მიღების დროს მიმართეთ ტრავმატოლოგიის ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტს.

## იაბასტროფის შიმღაზ

- გააფორმეთ ბიულეტენი ან ცნობა ტრავმის მიღების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ საცხოვრებელი ან ტრავმის მიღების ადგილის მიხედვით სასამართლოში მიმართვისას სასარჩელო განცხადებით ზარალის ანაზღაურების შესახებ.



# თოვლის ნამქერი

თოვლის ნამქერი არის დიდ თოვასთან დაჯავშინებული ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურება, როდესაც ქარის სიჩქარე 150 მ/წ-ს აღემატება და თოვა 12 საათზე მეტ ხანს გრძელდება.

ქარბუქი არის ქარის მიერ თოვლის გადატანა ჰაერის მიწისპირა ფენაში.

## ჯანსაღობა

- მჭიდროდ დახურეთ ფანჯრები, ქარები, სხვენის ლიუკები და სავენტილაციო მილები.
- ფანჯრის მინებზე დააკარით ქალაქის ლენტები, დახურეთ დარბაზები.
- მოამზადეთ წყლისა და საკვების ორდღიანი მარაგი. აგრეთვე მოიმარაგეთ მედიკამენტები, ავტონომიური განათების საშუალებები (ფარნები, ნავთის ლამპები, სანთლები), სამგზავრო ქურა, ბატარეებზე მომუშავე რადიომიმღები.

## ნათასტროფის დროს

- შენობიდან გადით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ისიც – სხვასთან ერთად.

- შეატყობინეთ ოჯახის წევრებსა და მეზობლებს იმის შესახებ, თუ სად მიდიხართ და როდის დაბრუნდებით.

- ავტომობილით იმოძრავეთ მხოლოდ დიდ გზებსა და გზატკეცილებზე.

- მანქანიდან გადმოსვლისას არ გასცდეთ მანქანიდან ხილვადობის ფარგლებს.

- თუ მანქანა გზაზე გაგიჩერდათ, მიეცით განგაშის სიგნალი ავტომობილის წყვეტილი საყვირით, ჩამოკიდეთ ანტენაზე ჯაშუაშა ფერის ქსოვილი, დახმარებას დაელოდეთ მანქანაში. ამასთანავე, დატოვეთ ჩართული ძრავა, მინის ოდნავ გალებით ვენტილაციის მიზნით და მხუთავი აირის მოწამვლის თავიდან ასაცილებლად.

## ნათასტროფის შემდეგ

- თუ აღმოჩნდით ნამქრისგან ბლოკირებულ შენობაში, ფრთხილად, ჰანიკის გარეშე გაარკვიეთ, არის თუ არა შენობიდან დამოუკიდებლად (იქ არსებული ხელსაწყოებისა და დამხმარე საშუალებების გამოყენებით) გამოსვლის შესაძლებლობა.

- შეატყობინეთ სს და სთ საქმეთა სამმართველოს ან დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას ნამქრის ხასიათისა და მისი დამოუკიდებლად განმენდის შესაძლებლობის შესახებ.



# თოვლის ნამქარი

თოვლის ნამქარი და ქარბუქი საშიშროებას უქმნის მოსახლეობას. თოვლით იფარება გზები, დასახლებული პუნქტები და ცალკეული შენობები. თოვლის ნამქარის სიმაღლე შეიძლება 1 მეტრს, ხოლო მთიან რაიონებში 5-6 მეტრს აღწევდეს. ქარბუქისა და ნამქარის დროს გზებზე ხილვადობა, შესაძლოა, 20-50 მეტრამდე შემცირდეს, აგრეთვე, შესაძლოა, დაინგრეს მსუბუქი შენობები და სახურავები, დაწყდეს ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზები.

## კატასტროფა

- აივნებიდან და ფანჯრის რაფებიდან ააღაგეთ ნივთები, რომლებიც ქარის ნაქადმა შეიძლება აიტაცოს.
- ჩართეთ რადიომიმღები და ტელევიზორი, რომ შეძლოთ ამინდთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგება.
- გადადით მსუბუქი ნაგებობებიდან უფრო მყარ შენობებში. მოამზადეთ თოვლის ასაღები ხელსაწყოები.





## ჯაბასტროფის დროს

- თუ თქვენ დაქარგეთ ორიენტაცია დასახლებული პუნქტის გარეთ ფეხით გადაადგილებისას, შედით პირველივე სახლში, რომელსაც დაინახავთ, თქვენი ადგილსამყოფლის დასაზუსტებლად და როგორმე დაელოდეთ ქარბუქის დამთავრებას.
- თუ იგრძნობთ, რომ ძალ-ღონეს კარგავთ, მოძებნეთ თავშესაფარი და იქ დარჩით.
- სიფრთხილედ გამოიჩინეთ უცხო ადამიანებთან ურთიერთობის დროს, ვინაიდან სტიქიური უბედურებების დროს მკვეთრად იზრდება ავტომობილების, ბინებისა და სამსახურებრივი სათავსების გაქურდვის რისკები.
- მიიღეთ ზომები სითბოს შესანარჩუნებლად და სურსათის მარაგის ეკონომიურად ხარჯვისათვის.

## ჯაბასტროფის შემდეგ

- თუ თოვლის ნამქრის დამოუკიდებლად განმენდა ვერ ხერხდება, ეცადეთ, დაუკავშირდეთ მაშველ ქვედანაყოფს. ჩართეთ რადიოსატრანსლაციო მიმღები (ტელევიზორი) და შეასრულეთ ადგილობრივი ხელისუფლების მითითებები.
- შენობაში, სადაც არის გათბობა, გაითბეთ სხეულის მოყინული ნაწილი და მშრალი რბილი ქსოვილით დაიხილეთ, შემდეგ თბილ წყალში მოათავსეთ ტემპერატურის თანდათანობით, 40-45 გრადუსამდე აწევით. თუ ტკივილმა გაიარა, მგრძობელობა აღსდგა, გაიმშრალეთ ხელი (ფეხი), ჩაიცვით წინდები (ხელთათმანები) და, შეძლებისდაგვარად, მიმართეთ ექიმს.



# ფენქი

ზვავი არის თოვლის დიდი მასა, რომელიც მოგორავს ან მოსრიალებს მთების ციცაბო ფერდობებიდან სიმძიმის ძალის ზემოქმედებითა და მოძრაობის სიჩქარით 20-30 მ/წ. ზვავის ჩამონოლის დროს წარმოიქმნება ჰაერის ტალღა, რომელიც წინ მოუძღვება თოვლის მასას და იწვევს ნგრევას.



## ჯანსაღი რეკომენდაციები

- არ წახვიდეთ მთაში თოვის დროს და ავდარში.
- მთაში ყოფნისას ყურადღება მიაქციეთ ამინდის ცვლილებას.
- მთაში წასვლისას უნდა იცოდეთ ზვავის შესაძლო ჩამონოლის ადგილები.
- თავი აარიდეთ ადგილებს, სადაც არსებობს ზვავის ჩამონოლის საშიშროება. ზვავი უფრო ხშირია მთის იმ ფერდობებზე, რომელთა დახრილობა 30<sup>0</sup>-ს, ხოლო ტყითა და ბუჩქნარით დაუფარავ ფერდობებზე 20<sup>0</sup>-ს აღემატება. ზვავის ჩამონოლა, პრაქტიკულად, ყოველი თოვის დროს იმ ფერდობებზე აღინიშნება, რომელთა დახრილობა 45<sup>0</sup>-ზე მეტია.



## ნათასტროფის დროს

- დიდი სიმაღლიდან ზვავის ჩამონოლის დროს ჩქარი ნაბიჯით ან სირბილით დატოვეთ ზვავის ჩამონოლის ადგილი და გადადით უსაფრთხო ადგილას ან მოეფარეთ ყელის შვერილს (არ დადგეთ ნორჩი ხეების უკან).

- თუ ზვავს ვერ გაექვეით, გათავისუფლდით ბარგისგან, მიიღეთ ჰორიზონტალური მდგომარეობა, ზვავის მოძრაობის მიმართულებაზე ორიენტაციითა და მუხლების მუცელზე მიჭერით.

- ზვავში მოყოლის დროს აიფარეთ პირი და ცხვირი ხელთათმნით, შარფით, საყელოთი.

- ეცადეთ, დარჩეთ ზვავის ზედაპირზე, ხელების საცურაო მოძრაობებით მისი ნაპირისაკენ გადაადგილებით, სადაც სიჩქარე ნაკლებია.

## ნათასტროფის შემდეგ

- დამოუკიდებლად ან მაშველების დახმარებით თოვლიდან გამოსვლისას ყურადღებით შეათვალიერეთ თქვენი სხეული და საჭიროების შემთხვევაში აღმოაჩინეთ თქვენს თავს დახმარება.

- თუ თქვენ ზვავის ჩამონოლის ზონის გარეთ აღმოჩნდით, შეატყობინეთ მომხდარი უბედურების შესახებ უახლოესი დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას. შეუდექით დაზარალებულების მოძებნასა და გადარჩენას.



# მკვლელობა

თოვლის ზვავი წარმოიქმნება ხანგრძლივი თოვლის, თოვლის ინტენსიური დნობის, მიწისძვრის, აფეთქებებისა და ადამიანის იმ საქმიანობის შედეგად, რომელიც იწვევს მთის ფერდობებისა და საჰაერო სივრცის რყევას. ჩამონოლითმა ზვავმა შეიძლება გამოიწვიოს შენობების, საინჟინრო ნაგებობების ნგრევა, გზებისა და მთის ბილიყების მჭიდრო თოვლით დაფარვა. ზვავის ჩამონოლის დროს მატალმთიანი რაიონების მცხოვრებლებმა, ტურისტებმა, ალპინისტებმა, გეოლოგებმა, მესაზღვრეებმა და სხვებმა შეიძლება მიიღონ ტრავმები და აღმოჩნდნენ თოვლის სქელი ფენის ქვეშ.

## უბრუნობა

- ნებისმიერ ამინდში არ უნდა გადაჭრათ ველ-დაბლობი, რომლის ფერდობების დახრილობა 30<sup>0</sup>-ზე მეტია, ხოლო თოვის შემდეგ იმ ველ-დაბლობებზე გადასვლა, რომლის ფერდობების დახრილობა 20<sup>0</sup>-ს აღემატება, მხოლოდ 2-3 დღის შემდეგ შეიძლება.
- დაიმახსოვრეთ, ზვავის ჩამონოლის ყველაზე საშიში პერიოდია გაზაფხული და ზაფხული, დღის 10 საათიდან მზის ჩასვლამდე.

## ჯაბასტროფის დროს

- როცა ზვავი შეჩერდება, შეეცადეთ სახისა და მკერდის ირიგული თავისუფალი სივრცე შექმნათ, რაც გაგიადვილებთ სუნთქვას.
- თუ საშუალება გექნებათ, იმოძრავეთ ზემოთ (ამას პირიდან გამოდენილი ნერწყვის მიმართულების მეშვეობით გაარკვევთ).
- ზვავში მოყოლისას არ იყვიროთ. თოვლი მთლიანად ახშობს ხმას, ამიტომ ძალ-ღონეს, ჟანგბადსა და სითბოს ტყუილად დაჟარგავთ.
- თავი შეიკავეთ, ეცადეთ, არ დაიძინოთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ გეძებენ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ზვავში მოყოლილი ადამიანები მეცამეტე დღის შემდეგაც გადაარჩინეს.

## ჯაბასტროფის შიმღაზ

- მიმართეთ ადგილობრივ სამედიცინო პუნქტს ან ექიმს იმ შემთხვევაშიც, თუ მიიჩნევთ, რომ ჯანმრთელი ხართ.
- შეატყობინეთ თქვენს ნათესავებსა და ახლობლებს თქვენი მდგომარეობისა და ადგილმდებარეობის შესახებ.



### **მგზავრობის შეზღუდვა**

მოერიდეთ საგზაო გადაადგილებას, თუ ეს გადაუდებლად აუცილებელი არ არის

### **გათბობის უსაფრთხოება**

ღია ცეცხლით (მაგალითად, გაზქურები) სახლის გასათბობად გამოყენებისას ხშირად ანიავთ ოთახი, რათა თავიდან აიცილოთ ნახშირყანგით მოწამვლა. თუ გათბობის სისტემა გაზზე მუშაობს, დარწმუნდით, რომ გამწოვი მილები არ არის გადატეხილი

### **სახურავის გადატვირთვის ჯონბროლი**

თოვლის დიდმა მასამ შეიძლება სახურავი დააზიანოს, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, მოაშორეთ ზედმეტი თოვლი

### **გარე ჯომანიაციების დაცვა**

მოერიდეთ თოვლისგან გადახრილ ელექტროგადამცემ ბოძებს და დაზიანებულ მავთულებს

ნალექის შემცირების და გზების გაწმენდის შემდეგ არ იფიქროთ რომ დამთავრდა ყველაფერი, თოვლის დნობის შემდეგ შესაძლოა უფრო დიდი საფრთხეები გააქტიურდეს, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, სადაც გეოლოგიური საფრთხეები ისედაც მაღალია

### **დამატებითი რეკომენდაციები**

- ➔ განმინდეთ სადრენაჟე არხები, რათა დამდნარი წყალი თავისუფლად გაედინოს
- ➔ ერიდეთ მოლიპულ გზებს, რადგან თოვლის დნობამ შეიძლება მოყინული ფენები დატოვოს
- ➔ ფეხით გადაადგილებისას მოერიდეთ წყლით დაფარულ მონაკვეთებს
- ➔ თუ გარესამყაროსთან იზოლირებული აღმოჩნდით, არ აყვეთ პანიკას, შეინარჩუნეთ სიმშვიდე, მოხალისეთა სამაშველო ჯგუფები მალე მოვლენ და დაგეხმარებიან
- ➔ ელექტროენერჯის მიწოდების შეზღუდვის რისკის გათვალისწინებით, მუდმივად დატენილ მდგომარეობაში იქონიეთ მობილური ტელეფონი

სპეციალური რეკომენდაციები იხილეთ ლიპყინულობის, ნამქერისა და ზვავისაგან თავის დასაცავად.